

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს კონკურსს საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის თაობაზე და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველასა და პეკინის გამზირის მხარეს, საგამოფენო და შემცენებითი სივრცის მშენებლობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების ტექნიკური პირობა

საპროექტო მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს**.

დაფინანსების წყარო: 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

1. კონკურსში მონაწილეობის საფასური:

1.1 საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის პირი იხდის საფასურს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge).

1.2 საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) საკონკურსო განაცხადის სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისათვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

2. კონკურსი ჩატარდება **2015 წლის 24 მარტს 14:00 საათზე**.

დაინტერესებულმა პირებმა განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და საკონკურსო წინადადება ქართულ ენაზე, დალუქული პაკეტით უნდა წარმოადგინონ **2015 წლის 24 მარტს 14:00 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #1, საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური შენობა, მე-2 სართული, შესყიდვების სამსახური.

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, მათ შორის საკონკურსო წინადადების წარმოდგენისათვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება გატარდება რეგისტრაციაში და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს.

5. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს კონკურსანტის მიერ, ხელმოუწერელი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

6. საკონკურსო წინადადება რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას არ განიხილება.

7. საკონკურსო კომისიის მიერ უპირატესობა მიენიჭება იმ კონკურსანტის საკონკურსო წინადადებას, რომლის წარმოდგენილი პროექტი იქნება საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში შესაბამისი და ასევე დეტალურად იქნება გაწერილი სპეციფიკაციები, ნახაზები, აღწერილობები და ა.შ)

8. კონკურსი ტარდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანებით დამტკიცებული საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის საფუძველზე.

9. საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს და ითვალისწინებდეს :

- კონკურსანტის რეკვიზიტებს;
- საკონკურსო წინადადების ფასს დღგ-ს ჩათვლით;
- ინფორმაციას მიწოდების ვადის შესახებ;
- გასაწევი მომსახურების სრული ტექნიკური აღწერა ტექნიკური დავალების შესაბამისად შემდეგი სახით: არქიტექტურული კონცეფცია-ესკიზური პროექტის ავტორისეული ხედვით, ერთი ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში, ასევე ესკიზური პროექტის ელექტრონული ვერსია (PDF ფაილით) ერთიანი პრეზენტაციის სახით შემდეგი შემადგენლობით: საპროექტო ორგანიზაციის დასახელება, რეკვიზიტები, განმარტებითი ბარათი, რომელშიც აღწერილი უნდა იყოს პროექტის დახასიათება, სამუშაოებისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაციები (ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები), 3D ვიზუალიზაცია (რენდერები).
- კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს არქიტექტურული კონცეფცია, ვიზუალური მასალა და კონცეფციის განმარტებითი ბარათი. არქიტექტურული კონცეფცია და მისი შინაარსი წარმოადგენს ძირითად პირობას საუკეთესო კონკურსანტის გამოსავლენად.
- ინფორმაცია ანალოგიური გამოცდილების შესახებ, მინიმუმ 10(ათი) რეალიზებული პროექტის მითითებით;
- ინფორმაცია პროექტზე მომუშავე კადრების კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ (CV);
- კონკურსანტმა საკონკურსო წინადადებაში უნდა წარმოადგინოს ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან და ცნობა საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

10. საკონკურსო წინადადება შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით: არქიტექტურული კონცეფცია ესკიზური პროექტის ავტორისეული ხედვა -0.6. ფასი-0.3. გამოცდილება - 0.1

11. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების დასრულება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 1(ერთი) თვისა.

12. გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ნახაზები, პროექტი და ხარჯთაღრიცხვა (საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის #55-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ შესაბამისად) უნდა წარმოადგინოს **3 ეგზემპლარი ნაბეჭდი მასალა A3 ფორმატში და ელექტრონული სახით ჩაწერილი CD დისკზე.**

13. დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ საკონკურსო კომისიაში, საკონტაქტო პირი: გვანცა შაშვიანი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი;

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 1, მე-2 სართული, შესყიდვების სამსახური.

ტელეფონი: +99532 72 67 28.

ტექნიკური დავალება

ეროვნული არქივის ახალი შენობები

სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველასა და პეკინის გამზირის მხარეს, საგამოფენო და შემეცნებითი სივრცის მშენებლობა.



სამშენებლო შესაძლებლობები ორივე შენობისათვის:

1. შენობა ვაჟა-ფშაველას გამზირის მხრიდან:

a. ცენტრალური შესასვლელის მიმდებარედ, არსებული მწვანე საფარის ტერიტორიაზე;



b. ასაშენებელი ფართობი დაახლოებით - 70-80 კვ.მ.;

c. გასათვალისწინებელია ქვემოთ მდებარე კომუნიკაციების არსებობა (რისი გათვალისწინებითაც ნაგებობა გამოდის სწორედ ამ ფართობის და არა - მეტი).

2. შენობა პეკინის გამზირის მხრიდან:

a. პეკინის გამზირის მიმდებარედ არსებული მწვანე საფარის ტერიტორიაზე;



- b. ასაშენებელი ფართობი დაახლოებით - 420 მ² (60მ X 7მ);
- c. ქვემოთ არ ფიქსირდება ისეთი კომუნიკაციები, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მშენებლობაზე.

ფუნქციონალური პროფილი, რომელიც უნდა გააჩნდეს ამ ორ ნაგებობას

შენობა ვაჟა ფშაველას გამზირის მხარეს:

- 1. შემეცნებითი სივრცე მოზარდებისათვის:
 - a. მოზარდებისათვის სივრცე დაახლოებით 50მ², რბილი ავეჯით, ღია თაროებით, კუთხე რამდენიმე კომპიუტერის განსათავსებლად;
 - b. გამოყოფილი სივრცე არქივის თანამშრომლებისთვის, დაახლოებით 15 მ²;
 - c. ვიდეო/აუდიო პრეზენტაციების მოწყობის საშუალებები.

შენობა პეკინის გამზირის მხარეს:

- 2. საგამოფენო სივრცე (მუდმივი ექსპოზიციების გარდა, შესაძლებელი უნდა იყოს საპრეზენტაციო დარბაზად გამოყენება):
 - a. დაახლოებით 300 მ² ფართი;
 - b. მთლიანი ფართი უნდა იყოს იოლად გადატიხვრადი (მაღაზია და თვითონ საგამოფენო სივრცე ორ ნაწილად);
 - c. მასშივე უნდა იყოს განთავსებული სველი წერტილები (ეს მოთხოვნა ეხება ორივე ნაგებობას);
 - d. ერთი სველი წერტილი ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირებისთვის (ეს მოთხოვნა ეხება ორივე ნაგებობას);
 - e. მთლიანად ნაგებობაში შესვლა უნდა იყოს ადაპტირებული შშმ პირების გადაადგილებისათვის (ეს მოთხოვნა ეხება ორივე ნაგებობას);
 - f. სადემონსტრაციო (მათ შორის აუდიო და ვიდეო სადემონსტრაციო) და კინოსაპროექციო აპარატურის განთავსების შესაძლებლობა;
 - g. ექსპონატების განთავსებისა და მისი სპეციალური განათების სისტემის მონტაჟის შესაძლებლობა;
 - h. ბავშვთა შემეცნებითი სივრცე.
- 3. სასაჩუქრე მაღაზია და კაფე:
 - a. ფართი სჭირდება დაახლოებით 50-70 მ², ამ ფართში ინტეგრირებული უნდა იყოს მაღაზია და კაფე (მსუბუქი, მხოლოდ მზა პროდუქციით);
 - b. დახლების/ვიტრინების, ღია თაროებისა და სტენდების განთავსების შესაძლებლობა;
 - c. რბილი ავეჯის განთავსების შესაძლებლობა მოსული მომხმარებლისათვის პროდუქციის გასაცნობად;
 - d. კაფესათვის სპეციალური ავეჯის და ინვენტარის განთავსების შესაძლებლობა (სამზარეულოს გარეშე).

4. სასაწყობედ დაახლოებით 30 კვ.მ.

ორივე შენობის მახასიათებლების შესახებ:

1. მსუბუქი კონსტრუქცია;
2. მინის ვიტრაჟები;
3. განათების თანამედროვე სისტემა;
4. ერთსართულიანი;
5. სახანძრო და დაცვის სიგნალიზაციის სისტემა;
6. ვენტილაცია/გაგრილება/გათბობის სისტემა;
7. აღჭურვილი ხმის იზოლაციის საგანგებო საშუალებებით;
8. გარეთა მხრიდან ხილვადობა უნდა იყოს სურვილისამებრ ცვლადი.

სხვა დამატებითი მოთხოვნები:

1. ორივე შენობის დაგეგმვა უნდა მოხდეს მაქსიმალურად ოპტიმალურად, სივრცეების გამოყენების თვალსაზრისით;
2. ორივე შენობა ინტეგრირებული უნდა იყოს მწვანე საფართან.

მოთხოვნები შენობების პროექტანტის მიმართ

პროექტანტს მოეთხოვება:

1. ამოცანის გადაჭრისათვის მაქსიმალურად შემოქმედებითი მიდგომა;
2. ტერიტორიის ოპტიმალურად გამოყენება;
3. დახვეწილი, კრეატიული და თავისუფალი გეგმარება;
4. დაგეგმარება ინტერიერის დიზაინის ჩვენებით;
5. სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია (სასურველია რამდენიმე დიზაინერული ელემენტის სრულყოფილი დამუშავების ჩვენებით), გამოყენებული მასალის მითითებით;
6. ნებისმიერი სხვა სახის სადემონსტრაციო მასალა, რაც ავტორის აზრით, უკეთ წარმოაჩენს პროექტს;
7. განმარტებითი ბარათი;
8. პროექტანტის რეკვიზიტები.

პროექტანტმა უნდა წარმოადგინოს: სრულყოფილი საინჟინრო ნაწილი - შენობა-ნაგებობების კონსტრუქციის, გათბობის, კონდიციონერების, ხანძარქრობის დეტექციის, დაცვის სისტემების, ელექტროობის, სუსტი დენების, წყალ-კანალიზაციის მუშა პროექტები, ხარჯთაღრიცხვა, მიმდებარე ტერიტორიის დენდროპროექტი და საჭიროების შემთხვევაში ტერიტორიის გეოლოგიური დასკვნა.

პროექტანტს მიეცემა საშუალება ადგილზე გაეცნოს დასაპროექტირებელ ტერიტორიას, აზომოს, სურათები გადაიღოს და გააკეთოს ჩანახატები.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

საქართველოს ეროვნული არქივი (მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №1 ტელ. 2 38-14-25, საბანკო რეკვიზიტები: -----, სკ-211358957), შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი გენერალური დირექტორის მოადგილის სოფიო ლონდარიძის სახით და -----
-----შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“ – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველასა და პეკინის გამზირის მხარეს, საგამოფენო და შემეცნებითი სივრცის მშენებლობის საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო მომსახურება.

(CPV კოდი -71300000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ----- (-----) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 % .

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის მიმდებარედ, ვაჟა-ფშაველასა და პეკინის გამზირის მხარეს, საგამოფენო და შემეცნებითი სივრცის მშენებლობის საპროექტო -

სახარჯთაღრიცხვო მომსახურების გაწევა, ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- დღის განმავლობაში.

ბ) აღნიშნული პროექტის განხორციელების პერიოდში შემსყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე განახორციელოს პროექტში ცვლილება, უპასუხოს შემსყიდველის მხრიდან დასმულ შეკითხვებს.

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

გ) მოსთხოვოს 'მიმწოდებელს' ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურების გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

5.2 ინსპექტირებას განახორციელებს/ენ -----.

5.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში გამოასწოროს წუნი.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, თუ მიღება-ჩაბარების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს მაშინ მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს რაც არ ჩაითვლება ვადაგადაცილებად.

6.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს საქართველოს ეროვნული არქივის წარმომადგენელი, მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ანგარიშფაქტურის ან/და ზედნაღების წარმოდგენიდან და ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე არაუგვიანეს 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამოძვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების 7.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველის ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების **0.07%**-ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4 (ოთხი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14. ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. საერთო პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

მიმწოდებელი